

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.524, №74.06.11.267, №74.06.11.297, №74.06.11.493, №74.06.11.305, №74.06.11.311, №74.06.11.595, №74.06.11.624, №74.06.11.324, №74.06.11.787, №74.06.11.470, №74.06.11.489, №74.06.11.568, №74.06.11.589, №74.06.11.228, №74.06.11.631, №74.06.11.240, №74.06.11.332, №74.06.11.188, №74.06.11.193, №74.06.14.716, №74.06.11.513, №74.06.14.803) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის სახლების და დასასვენებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N587 დადგენილების - „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის N90/ო ბრძანებისა და 2020 წლის 29 ოქტომბრის N8/20 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული დოკუმენტაციის - გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.524, №74.06.11.267, №74.06.11.297, №74.06.11.493, №74.06.11.305, №74.06.11.311, №74.06.11.595, №74.06.11.624, №74.06.11.324, №74.06.11.787, №74.06.11.470, №74.06.11.489, №74.06.11.568, №74.06.11.589, №74.06.11.228, №74.06.11.631, №74.06.11.240, №74.06.11.332, №74.06.11.188, №74.06.11.193, №74.06.14.716, №74.06.11.513, №74.06.14.803) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის სახლების და დასასვენებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხილვა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და მოიცავს 23 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს და დაურეგისტრირებელ ტერიტორიას. საპროექტო არეალში იგეგმება დაბალი ინტენსივობის განაშენიანება, კერძოდ სასტუმროს ტიპის სახლები და დასასვენებელი სახლები. აღნიშნული შენობებისთვის სართულიანობა განისაზღვრება 3 ან 2 სართული მანსარდით. პარკინგები მოეწყობა კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილ კონცეფციაში გათვალისწინებულია შიდა საპროექტო გზებისა და ნაკვეთების დაგეგმარება იმგვარად, რომ ყველა სამშენებლო მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებისა და რელიეფის დახრილობის გათვალისწინებით. შემდგომში უშუალოდ განაშენიანების დეტალური გეგმის საპროექტო გადაწყვეტით ტერიტორიაზე უნდა დადგინდეს შემდეგი ფუნქციური ზონები: სატრანსპორტო ტერიტორია და საკურორტო ზონა 1 (შზ 6).

საპროექტო ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის სახლების და დასასვენებელი სახლების განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში, 2021 წლის 9 ივლისამდე, შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mrdi.gov.ge